jarima.ge

ზოგადი სამომხმარებლო ხელშეკრულება

მნიშვნელოვანია, რომ ყურადღებით წაიკითხოთ წინამდებარე პირობები. www.jarima.ge - საიტზე წარმოდგენილი სერვისების გამოყენების პირობები რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის კანონმდებლობით.

- **ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განსაზღვრებები.**

ცენტრი –სერვის – პროვაიდერი სერვისის მომწოდებელი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს რეალურ რეჟიმში ჯარიმის ინფორმაციის მოწოდებას და საბარათე ოპერაციების განხროციელებას და ჯარიმის შესახებ სტატუსების ასახვას გადახდის შესაბამისად.

ცენტრი –სერვის – პროვაიდერი - კომუნალური, სატელეფონო, სატელეკომუნიკაციო, ინტერნეტ და სხვა სახის მომსახურეობის მიმწოდებელი ორგანიზაციები;

გადახდები - კომუნალური, სატელეფონო, სატელეკომუნიკაციო, ინტერნეტ და სხვა მომსახურეობისათვის სერვის–პროვაიდერის მიერ დაწესებული გადასახდელები;

აბონენტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მომსახურებას უწევს **ცენტრი –სერვის – პროვაიდერი;**

აბონენტის ანგარიში – ანგარიში **აგენტის** (jarima.ge) საანგარიშგებო-სააღრიცხვო ელექტორნული ოთახი, სადაც თითოეული აბონენტისთვის გაწეული მომსახურეობისა და შესრულებული გადახდების საფუძველზე აღირიცხება აბონენტის დავალიანებისა და ავანსის საბოლოო ნაშთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გადამხდელი – ნებისმიერი პირი, რომელიც **აგენტის** მეშვეობით **აბონენტის** სახელით ახორციელებს შესაბამისი **საფასურის** გადახდას;

საგადახდო დავალება - მხარეებს შორის შეთანხმებული ელექტრონული მოთხოვნა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას **საფასურის** შესახებ და წარმოადგენს გადახდის და ანგარიშსწორების განხორციელების საფუძველს.

აგენტის ანგარიში - ანგარიში **ცენტრის** სააღრიცხვო პროგრამაში, სადაც **აგენტის** მიერ შესრულებული გადახდების და საბანკო ანგარიშზე თანხის გადმორიცხვის საფუძველზე აღრიცხულია **სისტემის** საბოლოო ნაშთი და რომელზეც **აგენტის** გააჩნია სრული და მუდმივი წვდომა.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **საგადახდო აგენტი - jarima.ge,** საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით და **ცენტრის** სახელით ახდენს გადამხდელებისაგან შესაბამისი გადახდების მიღებას, რის შესახებაც ქმნის სათანადო **საგადახდო დავალებას** და გადასცემს **ცენტრს.**

1.2. **აგენტის** საგადახდო დავალების საფუძველზე **ცენტრი** აწარმოებს ანგარიშსწორებას შესაბამის **სერვის–პროვაიდერთან.**

1.3. წინამდებარე **ხელშეკრულებით** რეგულირდება იმ **სერვის – პროვაიდერების** მიერ დადგენილი გადასახადების გადახდა, რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია **ხელშეკრულების** დანართებში.

2. საკომისიო და ანგარიშსწორების წესი

2.1. **გადახდო აგენტი - jarima.ge, ცენტრის** საგადახდო სისტემის საშუალებით უზრუნველყოფს ონლაინ საბარათე ოპერაციების განხორციელებას.

2.2. ყველა წარმატებული ოპერაციისთვის გადახდაზე განისაზღვრება შესაბამისი საკომისიო, რომელიც შეთანხმებულია ხელშეკრულების საფუძველზე.

2.3. საკომისიო განისაზღვრება რანჟირებით. 50 ლარის და ნაკლლები ინდივიდუალური ჯარიმის შემთხვევაში საკომისიო არის 1₾ - ერთი ლარი, ხოლო 50 ლარზე მეტის ინდივიდუალური ჯარიმის შემთხვევაში საკომისიო შედეგება ჯარიმის თანხის 1.5%- ით.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი გაცნობის მომენტიდან და ატარებს მუდმივ მოქმედ ხასიათს, იმ მომენტამდე, როცა სერვისი ხელმისაწვდომია და რეალურ რეჟიმში ახორციელებს ინფორმაციის მიწოდებას მომხმარებელთან.

3.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები შედის სერვისის მომწოდებლის მხრიდან ცალმხრივად.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. **მხარეები** პასუხისმგებელნი არიან აღებული ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაზე.

4.2. **საგადახდო სისტემა** მოტივირებულია მომხმარებლის მაქსიმალურ კმაყოფილებაზე.

4.3. თუ **ხელშეკრულების** რომელიმე მხარეს მიადგა ზიანი მეორე მხარის (მისი წარმომადგენლის, თანამშრომლის ან ნებისმიერი უფლებამოსილი პირის) ბრალეული ქმედების ან **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის გამო, ის უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4. საგადახდო სისტემის მხარდამჭერი გუნდი უზრუნველყოფს მიღებული საკითხის, მომხმარებლის მხრიდან დაფიქსირებული პრობლემის მაქსიმუმ 3 სამუშაო დღეში აღმოფხვრას ან უზრუნველყოს მხარეების ინტერესების დაცვით, საკითხის 3 სამუშაო დღეში გადაწყვეტა.

5. დავათა გადაწყვეტა

5.1. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ **ხელშეკრულებიდან** გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ONLINE PAY LTD * 406185747